აი როგორ შეუძლიათ თამაში დინამოელებს

თბილისი. “დინამოს” სტადიონი.

5 აგვისტო.

“დინამო” (თბილისი) _ სკა (როსტოვი) 7:2 (3:0).

სკა: კიკტევი (სკარლიგინი), გუშჩინი, ბოჩაროვი, გეიზერი, ჩერტკოვი, შიკუნოვი, სმირნოვი, ლევჩენკო, პონედელნიკი, ოდინცოვი, მოსალევი (მატვეევი).

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, დათუნაშვილი, კალოევი, ღოღობერიძე, მესხი.

მსაჯი პ. ბელოვი (ლენინგრადი).

საგაზეთო რეცენზიაში ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ახლა თითოეულ ქულას გუნდებისათვის, რომლებსაც ჯერ კიდევ გააჩნიათ შესაძლებლობა განაგრძონ ბრძოლა ჩემპიონის წოდებისათვის და თუ თბილისელთათვის ეს შანსი უფრო თეორიულ სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე პრაქტიკულს, როსტოველებს თითქმის სრული გარანტია აქვთ მოიპოვონ ეს უფლება. სწორედ ამიტომ გუნდი მთელი თავისი შემადგენლობით, მთელი თავისი მაქსიმუმით იბრძოდა დინამოელთა წინააღმდეგ, რათა თუნდაც ერთი ქულა მაინც მოეპოვებინა ტალინის “კალევთან” მატჩის წინ.

მატჩის დამთავრების შემდეგ როსტოველთა ერთ-ერთმა მწვრთნელმა სინანულით გაშალა ხელები და განაცხადა: “ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, მაგრამ”...

ჩვენი აზრით, მწვრთნელი მართალი იყო. გუნდმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო. როსტოველებს ახასიათებთ შესანიშნავი ფიზიკური მომზადება, კოლექტიური მოქმედების საუკეთესო ჩვევები, ხოლო მათი შრომისუნარიანობა და საბრძოლო სული პირდაპირ საოცარია. ყველაფერი ეს შერწყმული ცალკეულ მოთამაშეთა საკმაოდ მაღალ ტექნიკასთან, არმიელებს მძლავრ ძალად ქმნიან. განვლილ მატჩში, სადაც როსტოველებმა საბოლოოდ სასტიკი დამარცხება განიცადეს, იყო მომენტები, როცა ისინი სულ ახლოს იყვნენ გარდატეხასთან, მაგრამ თბილისის “დინამოს” წინააღმდეგ ბრძოლა ამ დღეს უაღრესად ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

საქმე მხოლოდ იმაში არაა, რომ თბილისის “დინამოს” ყოველმა წევრმა განვლილ მატჩში თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა. მათი მონაცემები და შესაძლებლობანი ჩვენ კარგად ვიცით. საინტერესოა ის ახალი ტაქტიკური ნახაზი, რომელიც მწვრთნელებმა შემოგვთავაზეს 5 აგვისტოს.

სქემა 3+3+4 თავისთავად დაცვითს ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ დინამოელთა შესრულებით მას უაღრესად პრაქტიკული და რაციონალური ხასიათი აქვს. წლიდან წლამდე სისტემატურად მეორდება ის ამბავი, რომ თბილისის “დინამოს” დაცვა არაორგანიზებულად თამაშობს და მიუტევებლად დიდი რაოდენობის ბურთებს ღებულობს საკუთარ კარში, ხოლო ახლა მცველთა პირადი შემადგენლობის რესურსები ჩვენს გუნდში იმდენად ღარიბია, რომ “დინამოს” უკანა ხაზების რეკონსტრუქცია პირველი საჭიროების პრობლემად იქცა.

აღნიშნულ მატჩში ფაქტიურად თამაშობდა 3 ნახევარმცველი (დათუნაშვილი, ზეინკლიშვილი, იამანიძე) და სამივემ სრულიად გაამართლა მათზე დაკისრებული დიდი მოვალეობა. დაცვის ძალის განმტკიცებამ შუა მინდორზე, საშუალება მისცა ჩოხელს ეთამაშა ფართო ზონაში და არა პონედელნიკის “პირად” დარაჯად, ეს კი ჩვენი გუნდისათვის მეტად საჭირო და სასარგებლო ღონისძიებაა.

როცა “დინამოს” ორი ნახევარმცველიდან ერთი წინ მიდის ხანგრძლივი დროით და ვერ ასწრებს უკან დაბრუნებას, ეს ასუსტებს უკანა ხაზის პოზიციებს, ხოლო როცა ამ ზონაში 3 ფეხბურთელია და ერთი მათგანი მონაწილეობს ხოლმე შეტევაში, დაცვა არ განიცდის რაოდენობრივ დანაკლისს და თანაფარდობაც არ ირღვევა.

რა თქმა უნდა, ამ ვარიანტის ყველა დეტალი მთლიანად არ იყო დამუშავებული და ალბათ მათი შემდგომი სრულყოფა ახალ პერსპექტივებს შექმნის, მაგრამ ფაქტია ის, რომ ჩვენს დაცვას გაძლიერება ესაჭიროება, ხოლო 4 ფორვარდი პლუს 1 შემტევი ნახევარმცველი სრულიადაც არ უკარგავს ჩვენს

თავდასხმას უდიდეს დამკვრელ ძალას, მით უმეტეს, თუ მესხი არ შემოიფარგლება მარცხენა ფლანგის ვიწრო ტერიტორიით და ითამაშებს ისე, როგორც მან ითამაშა როსტოვის გუნდის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, გამოცდა ახალი სისტემით წარჩინებით იქნა ჩაბარებული და, ვინ იცის, შეიძლება სწორედ მან მოუტანოს თბილისის "დინამოს" ის, რაც მას აკლია _ დაცვის დამტკიცება.

ანგარიში მე-4 წუთზე გახსნა კალოევმა. ხოლო ტაიმის დამთავრებამდე მესხმა ორი ბრწყინვალე გოლი გაიტანა _ 3:0.

შესვენების შემდეგ პონედელნიკმა და ლევჩენკომ ორი ბურთი გაქვითეს და ეს იყო ყველაზე მძიმე მომენტი ჩვენთვის ამ მატჩში. დინამოელებმა სწორედ მაშინ შეძლეს ინიციატივის ხელში აღება და კალოევმა ზუსტად გაიტანა მეოთხე გოლი _ 4:2. ამას მოყვა მესხის მეხუთე ბურთი და იამანიძის განუმეორებელი სილამაზის ორი რეიდი. "დინამომ" გაიმარჯვა ანგარიშით 7:2.

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი დამთავრდა აგრეთვე თბილისელთა გამარჯვებით _ 2:0.

ბ. ქორქია
"ლელო", 7 აგვისტო, 1960 წ.